საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 4 სექტემბერი, 2019 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/134 ბრძანებით განსაზღვრული კომისიის წევრები:

თამარ სირაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რექტორის მოადგილე (**კომისიის თავმჯდომარე**);

თათია ნაკაშიძე-მახარაძე - ასისტენტ -პროფესორი (**კომისიის მდივანი**):

თეონა თედორაძე - ასისტენტ- პროფესორი (**კომისიის წევრი**):

ნინო სამნიძე - ასისტენტ -პროფესორი (**კომისიის წევრი**).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

2019-2020 სასწავლო წლისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში ინგლისური ენის მიმართულებით ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/134 ბრძანებით გამოცხადებულ მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საბუთებისა და დოკუმენტაციის შესწავლა/შერჩევა.

მოისმინეს:

1. ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის, თათია ნაკაშიძე-მახარაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსაწვევი პერსონალის 2019-2020 სასწავლო წლის ე. წ. ,,დატვირთვის ეკრანის" მიხედვით ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში გეგმით ინგლისური ენის მიმართულებით **მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფეხურებზე ჩასატარებელი საათების რაოდენობა შეადგენს ჯამში - 15720 საათს.** ცენტრში აკადემიური პერსონალის (ასისტენტ-პროფესორთა) და კონკურსის გარეშე მოწვეულ, ბსუ-ში 3 წელზე მეტი გამოცდილების მქონე პედაგოგების დატვირთვის შემდეგ **დარჩენილ 885 საათზე** გამოცხადდა კონკურსი.

2. კომისიის თავმჯდომარის თამარ სირაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ *„ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“* ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/134 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის, ინგლისური ენის მიმართულებით **2019 წლის 2 სექტემბრიდან 4 სექტემბრის ჩათვლით** სულ შემოვიდა **9** განცხადება.

კონკურსში მონაწილე პირთა ჩამონათვალი:

1. ცირა მოისწრაფეშვილი
2. ქრისტინე თოფურია
3. თამთა თებიძე
4. ანასტასია მახარაძე
5. ნათია ვასაძე
6. შორენა ბერუაშვილი
7. ანა თენიეშვილი
8. თამთა ნაგერვაძე
9. თეონა თურმანიძე

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან და ყველა კონკურსანტს ჩაუტარდეს გასაუბრება შემდეგი განრიგის მიხედვით:

ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრების განრიგი

პრეტენდენტის სახელი და გვარი	**გასაუბრების ჩატარების დრო**	
	5 აგვისტო 2019 წელი	
ცირა მოისწრაფეშვილი	11:00	11:20
ქრისტინე თოფურია	11:20	11:40
თამთა თებიძე	11:40	12:00
ანასტასია მახარაძე	12:00	12:20
ნათია ვასაძე	12:40	13:00
შორენა ბერუაშვილი	13:00	13:20
ანა თენიეშვილი	13:20	13:40
თამთა ნაგერვაძე	13:40	14:00
თეონა თურმანიძე	14:00	14:20

გასაუბრების ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N 35/32, ოთახი N408

2. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების განრიგისა და ადგილის შესახებ CV-ში მითითებული სატელეფონო ნომრების მეშვეობით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი:		თამარ სირაძე
კომისიის მდივანი, ასისტენტ-პროფესორი:		თათია ნაკაშიძე-მახარაძე
კომისიის წევრები:		
ასისტენტ-პროფესორი:		ნინო სამნიძე
ასისტენტ- პროფესორი:		თეონა თედორაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 5 სექტემბერი, 2019 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/134 ბრძანებით განსაზღვრული კომისიის წევრები:

თამარ სირაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რექტორის მოადგილე (**კომისიის თავმჯდომარე**);

თათია ნაკაშიძე-მახარაძე - ასისტენტ -პროფესორი (**კომისიის მდივანი**):

თეონა თედორაძე - ასისტენტ- პროფესორი (**კომისიის წევრი**):

ნინო სამნიძე - ასისტენტ -პროფესორი (**კომისიის წევრი**).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

2019-2020 სასწავლო წლისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში ინგლისური ენის მიმართულებით ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს N01-02/134 ბრძანებით გამოცხადებულ მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრება კომისიის სხდომის #1 ოქმში აღნიშნული განრიგის მიხედვით.

მოისმინეს:

1. საკონკურსო კომისიის მდივნის თათია ნაკაშიძე-მახარაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიერ სატელეფონო საშუალებით ინფორმირებული იყო კონკურსის ცხრავე მონაწილე. გასაუბრებაზე გამოცხადდა ყველას კონკურსანტი. სხდომას ესწრება კომისიის ყველა წევრი, შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს გასაუბრება განრიგის მიხედვით.

2. კომისიის მიერ კონკურსანტებთან გასაუბრების შემდეგ, კომისიის წევრებმა **აზრი გამოთქვეს:**

თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია კონკურსანტების მიერ გამოვლენილი მაღალი აკადემიური დონე და მათი სურვილი, მაქსიმალურად ჩაერთონ ბსუ-ს სასწავლო პროცესში.

ასისტენტ-პროფესორმა **ნინო სამნიძემ** აღნიშნა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მიღება გაამდიდრებს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ცენტრის პედაგოგთა დიდ გუნდს და ხელს შეუწყობს ახალი გამოწვევების წარმატებით დაძლევას.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კონკურსანტების შერჩევის საკითხი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს:

1. გამოვლენილი მაღალი აკადემიური და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე მიეცეთ შეფასება - „მაღალი" - კონკურსის შემდეგ მონაწილეებს:

   1. ცირა მოისწრაფეშვილი
   2. ქრისტინე თოფურია
   3. თამთა თებიძე
   4. ანასტასია მახარაძე
   5. ნათია ვასაძე
   6. შორენა ბერუაშვილი
   7. ანა თენიეშვილი

2. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ვაკანტური 885 საათის შესასრულებლად საჭიროა მხოლოდ სამი დასაქმებული (თითოეულმა დასაქმებულმა უნდა შეასრულოს არანაკლებ 360 საათის დატვირთვა), მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, კონკურსის შედეგად შემდეგი სამი პირის საათობრივი ანაზღაურების წესით სამუშაოს შესრულებისათვის მოწვევის თაობაზე:

   1. ანასტასია მახარაძე
   2. ცირა მოისწრაფეშვილი
   3. თამთა თებიძე

3. დანარჩენი დადებითად შეფასებული კონკურსანტები მოწვეულ იქნან საათობრივი ანაზღაურების წესით ცენტრის და უნივერსიტეტის საჭიროების შესაბამისად, შემდეგი რიგითობის მიხედვით:

1. ნათია ვასაძე
2. ქრისტინე თოფურია
3. შორენა ბერუაშვილი
4. ანა თენიეშვილი

4. კონკურსის ორ მონაწილეს, თამთა ნაგერვაძეს და თეონა თურმანიძეს, მიეცეს შეფასება - „საშუალო“, რის საფუძველზეც კომისია თავს იკავებს აღნიშნული კონკურსანტები დაასაქმოს საათობრივი ანაზღაურების წესით 2019-2020 სასწავლო წლისათვის.

5. აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილება გაეგზავნოს ფაკულტეტის დეკანს, ხოლო ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს (web@bsu.edu.ge).

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი:	თ. სირაძე	თამარ სირაძე
კომისიის მდივანი, ასისტენტ-პროფესორი:	თ. ნაკაშიძე	თათია ნაკაშიძე-მახარაძე
კომისიის წევრები:		
ასისტენტ-პროფესორი:	ნ. სამნიძე	ნინო სამნიძე
ასისტენტ- პროფესორი:	თ. თედორაძე	თეონა თედორაძე